სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის (შემდგომში „თსსა“ ან „აკადემია“) სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური (შემდგომში – სამსახური) არის თსსა-ს სტრუქტურული ერთეული, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის, თსსა-ს აქტებისა და ამ დებულების საფუძველზე და მათ შესასრულებლად.
2. სამსახური საქმიანობას წარმართვას საქართველოს კანონებით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, აკადემიის წესდებით და წინამდებარე დებულებით.
3. სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია აკადემიის კანცლერის წინაშე, ასრულებს კანონით გათვალისწინებულ, კანცლერის და ვიცე-კანცლერის მიერ დაკისრებულ მოვალეობებს.
4. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს სამსახურის კომპეტენციის სფეროებსა და ფუნქციებს.

მუხლი 2. სამსახურის ამოცანები და ფუნქციები

1. აკადემიის სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება, კომპეტენციის ფარგლებში;
2. აკადემიის წარმომადგენლობა და მისი ინტერესების დაცვა სახელმწიფო, კერძო დაწესებულებებსა და სასამართლოებში;
3. აკადემიაში და დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებში ხელშეკრულებების და ადმინისტრაციული აქტების პროექტების მომზადებაში მონაწილეობის მიიღება, კომპეტემციის ფარგლებში;
4. აკადემიის სტრუქტურული ერთეულების მიერ შემუშავებულ სამართლებრივი აქტების ვიზირება, კომპეტენციის ფარგლებში;
5. აკადემიის სტრუქტურული ერთეულების მიერ შემუშავებული ადმინისტრაციული აქტების პროექტების სამართლებრივ დასკვნების მომზადება, საჭიროებისას;
6. აკადემიის სტრუქტურული ერთეულებისათვის და თანამშრომლებისთვის სამსახურებრივი საკითხების შესახებ იურიდიული კონსულტაციის გაწევა;
7. კომპეტენციის ფარგლებში ფიზიკური და იურიდიული პირების განცხადებების განხილვა და მათ განხილვაში მონაწილეობა;
8. ახორციელებს ამ დებულებით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 3. დებულების მიღების, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

წინადებარე დებულების მიღება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება აკადემიის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

მუხლი 4. სამსახურის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

თსსა-ს სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.